

**შპს „ფასანაური 2021“
405463305**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

**სექტემბერი 2025
თბილისი**

სარჩევი

1. შესავალი	5
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	12
4. ძირითადი საშუალებები	13
5. ფული და ფულის ექვივალენტები	13
6. მარაგები	13
7. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13
8. კაპიტალი	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
10. ამონაგები	
11. ხარჯები	
12. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	14
13. ფინანსური რისკის მართვა	15
14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	131664	127558	109028
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		2465500	2465500	
სულ გრძელვადიანი აქტივები		2597164	2593058	109028
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6641	20453	21414
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		24330	19686	20844
მარაგები	6	40826	46013	53655
სულ მოკლევადიანი აქტივები		71797	204941	95913
მთლიანი აქტივები		2668961	2679210	204941
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7	2292089	2506698	106059
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2292089	2506698	106059
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		116576	130932	81811
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		41674	33080	38553
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		409533	248533	0
სხვა ვალდებულებები		0	0	10653
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		567783	412545	131017
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	8	(190911)	(240033)	(32135)
სულ საკუთარი კაპიტალი		(190911)	(240033)	(32135)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2668961	2679210	204941

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

/ ლევან ნამგალაძე /

26 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-18 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	9	3631842	3469555
გაყიდვების თვითღირებულება	10	(1889819)	(2065893)
საერთო მოგება		1742023	1403662
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(738207)	(661193)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(32042)	(20746)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(187902)	(10867)
იჯარის ხარჯი		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(734750)	(636185)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		49122	(207898)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული მოგება		49122	(207898)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

/ ლევან ნამგალაძე /



26 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-18 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	(32135)	(32135)
პერიოდის შედეგი	(207898)	(207898)
2023წლის 31 დეკემბერი	(240033)	(240033)
პერიოდის შედეგი	49122	49122
2024 წლის 31 დეკემბერი	(190911)	(190911)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

/ ლევან ნამგალაძე /



26 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-18 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024 წელი	2023 წელი
მოგება დაბეგვრამდე	49122	(207898)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	32042	20746
	17080	(187152)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(5187)	7642
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(4644)	1158
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	14356	49121
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	59371	(10653)
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	(8594)	(5473)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	55302	(145,357)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4106)	39315
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	39315	39315
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	119000	2,584,450
სესხებზე გადახდილი ფული	(333608)	(125964)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(214608)	2458486
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(13812)	(961)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	20453	21414
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	6641	20453

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

/ ლევან ნამგალაძე/

26 სექტემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება: შპს ფასანაური 2021
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405463305
რეგისტრაციის ნომერი, თარ: 27/05/2021
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის 24 გ, ბ 151

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - 01026003426, ლევან ნამგალაძე

მესაკუთრეები

20%-იანი წილის მფლობელი - ლევან ნამგალაძე ს/ნ: 01026003426;

20 %-იანი წილის მფლობელი - დავით თოფურია ს/ნ: 01030003772;

20 %-იანი წილის მფლობელი - დავით გუნია ს/ნ: 01008028452;

20 %-იანი წილის მფლობელი - მირიან კალაძე ს/ნ: 01009000209;

20 %-იანი წილის მფლობელი - დიმიტრი ნამგალაძე ს/ნ: 0126007756.

კომპანიის ძირითად საქმიანობას, სარესტორნო მომსახურება წარმოადგენს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2024	31 დეკ 2023	01 იან 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9306	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

სამუშაო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მსს ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მსს ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები»

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – მოიცავს სარესტორნო მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებთან დაკავშირებულ საექვო ვალების რეზერვს, თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს, გადახდილ ავანსებს და სხვა დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის წინაშე წარმოქმნილ კონტრაგენტების დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს, მიღებულ ავანსებსა და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი – განსაზღვრავს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს.

კლასიფიკაცია და დაჯგუფება

ალრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

- მოკლევადიანი – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.
- გრძელვადიანი – სხვა ყველა დანარჩენი

აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

- არსებობს აღნიშნული აქტივიდან (ვალდებულებიდან) ეკონომიკური სარგებელის მიღების (გასვლის) მაღალი ალბათობა;
- აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

თავდაპირველი აღიარებისას დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები ფასდება რეალური ღირებულებით (გარიგების ღირებულებით), გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან
- იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მსს ფასს-ის 21-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად, კონტრაგენტებთან დადებული გარიგებების საფუძველზე, იდენტიფიცირება ხდება ვადაგადაცილებული დებიტორების, რომლებზეც კოლექტიურ საფუძველზე ხდება შესაძლო გაუფასურების ანალიზი.

ანალიზის დროს ფასდება მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მოცულობა და ხდება საბალანსო და მომავალში მისაღებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება, სხვაობის არსებობის შემთხვევაში დებიტორს ერიცხება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

ბ) საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს, ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

განმარტებები

ფულადი საშუალებები – არის კომპანიის ფულადი საშუალებები სალაროში, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე არსებული თანხები.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები – არის მოკლევადიანი, მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

აღრიცხვა და წარდგენა

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი სახსრები საბანკო აგარიშზე გადანაგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიჭვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება კლებადი ნაშთის მეთოდით რაც იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ქვემოთ მოყვანილია კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები / ცვეთის კოეფიციენტები.

ძირითადი საშუალება	ცვეთის კოეფიციენტები	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	20%	5-20
ოფისის აღჭურვილობა	20%	4-10
ჭურჭელი	20%	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%	5-15
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%	5-15

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება კლებადი ნაშთის მეთოდით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, ყოველწლიური ცვეთის კოეფიციენტი 15 %-ს შეადგენს სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საშუალო შეწონილის მეთოდი - ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალებების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

აღირიცხება მსს ფასს სტანდარტის 28-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად: „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6297	19497	20321
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	344	956	1093
ჯამი	6641	20453	21414

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

5. მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	01-იან-2023
მარაგები	40826	46013	53655

კომპანიის მარაგების ნაშთები შედგება მხოლოდ საკვები და სასმელი პროდუქტებისგან

6. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

გამსესხებელი	სესხის #	ვალუტა	სესხის ძირი	სესხის ძირი	სესხის ძირი
			2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით
საქართველო ბანკი	7267715	ლარი	0	20818	58336
საქართველო ბანკი	8751765	ლარი	0	17140	47723
საქართველო ბანკი	9236744	ლარი	2192089	2387738	0
საქართველო ბანკი	10039226	ლარი	0	81000	0
საქართველო ბანკი	27432665	ლარი	10000	0	0
ჯამი			2292089	2506698	106059

სესხზე გადახდილი %	სესხის #	2024 წელი	2023 წელი
საქართველო ბანკი	მთლიანად	187902	125964
ჯამი		187902	125964

7. კაპიტალი

კომპანიას რეგისტრირებული კაპიტალი არ გააჩნია. კომპანიის კაპიტალი მთლიანად შედგება საქმიანობის შედეგებისგან, რომელიც 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგენდა -32135

ლარის, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ზარალი 207898 ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წელს კომპანიამ მიიღო -49122 ლარის მოგება, რის შედეგადაც კომპანიის კაპიტალმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -190911 ლარი შეადგინა.

8. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	3631842	3469555

კომპანიის ამონაგები მოიცავს ადგილზე გაწეულ სარესტორნო მომსახურებას და საკურიერო/გატანის სერვისს (Delivery).

9. ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
გაყიდვების თვითღირებულება	1889819	2065893

თვითღირებულება ანგარიშდება მზა კერძის კალკულაციის მიხედვით, მარაგების ყოველთვიური ინვენტარიზაციის საფუძველზე.

10. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და სავალუტო კანონმდებლობა შენარჩუნდება შესაბამისად.

11. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა N5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას მიღებული

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

	2024 წელი	2023 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	310800	15,000

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 02 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.